ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №51

ქ. ბათუმი

10 აპრილი 2013 წელი

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გელა ბერიძის სახით, (შემდგომში – „შემსყიდველი"), ერთის მხრივ და საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (ს/კ 203851028) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ.შ. ზ. აბულაძის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი"), მეორის მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წიგნების მოწოდება (CPU 22100000) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

2.ანგარიშსწორების ვალუტა

2.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

3. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 327.80 (სამასოცდაშვიდი ლარი 80 თეთრი) ლარს;
3.2. საქონლის ღირებულება შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი;
3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება გადარიცხვის ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე;
3.4. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ საქონლის ფაქტიურად მიწოდების და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან/და სასაქონლო ზედდებულის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მოშახურების შესაბამისობა

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი, მისი ექსპლუატაციის დროს არ გამოავლენს დეფექტებს;
4.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების განსაზღვრული მიწოდებული საქონლის ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს;
4.3. 4.2. პუნქტში აღნიშნული ნორმებიდან გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

5. მომსახურების მიღება – ჩაბარება

5.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში;
5.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად;
5.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს საქონლის მიწოდების ინსპექტირება;
6.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ;
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
- უარი თქვას უხარისხო საქონლის მიღებაზე.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- საქონელი მიაწოდოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
- გააფრთხილოს შემსყიდველი საქონლის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. ფორს-მაჟორული სიტუაციების გარდა, მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;
8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები;
8.5. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით;
8.6. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.1 პროცენტის ოდენობით;
8.7. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა და რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე;
9.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე; ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

10. გამოყენებული სამართალი

10.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. ხელშეკრულების ენა

11.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან;
12.2. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე;
12.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;
12.4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადაო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკების გზით; იმ შემთხვევაში, თუ კონსენსუსი არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
12.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
12.6. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

12.7. ხელშეკრულება იდება ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.

13. მომსახურეობის გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. მომსახურეობის გაწევის ვადაა 2013 წლის 10 აპრილიდან 2013 წლის 25 აპრილამდე პერიოდი.

13.2. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედების ვადაა 2013 წლის 25 აპრილამდე პერიოდი.

4. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

1) შემსყიდველი:
სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
მის. ქ. ბათუმი, ლ .ასათიანის 37
გდსნ 245628496
სს „კორ-სტანდარტ" ბანკი
ბანკის კოდი 220101945
ანგარიშის №24166446

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი _____ გ. ბერიძე

2) მიმწოდებელი:
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის 19
საიდენტიფიკაციო კოდი: 203851028
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი UGEBGE22
ანგარიშის №GE62VT6600000010101010

ადმინისტრაციის
ხელმძღვანელის მ.შ. _____ ზ. აბულაძე

10 აპრილი 2013 წელი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ფორმა №3

	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ-ბა	ერთეულის ფასი	ღირებ-ბა	შენიშვნა
	1	2	3	4	5	6
1	პუგო ფონ ჰოფმანსტალი და ავსტრიული თეატრი	ცალი	2	4,00	8,00	
2	რადიო 90	ცალი	2	4,00	8,00	
3	ოპერეტა და მუზიკლი	ცალი	2	5,00	10,00	
4	მოდერნიზმი ქართულ თეატრში	ცალი	2	5,70	11,40	
5	მხატვრული კითხვის ხელოვნება	ცალი	2	6,00	12,00	
6	მსოფლიო თეატრის ისტორია	ცალი	2	3,50	7,00	
7	სათეატრო რეჟისურის პედაგოგიკის საკითხები	ცალი	2	6,00	12,00	
8	მუსიკალური თეატრის აღზრდის საკითხები	ცალი	2	2,80	5,60	
9	თამაში თამაშის გარეშე	ცალი	2	8,00	16,00	
10	ესთეთიკა	ცალი	2	10,00	20,00	
11	დავით კაკაბაძე თეატრსა და კინოში	ცალი	2	8,75	17,50	
12	მოგონებები ქართველ კინომატოგრაფისტებზე	ცალი	2	8,75	17,50	
13	ხელოვნების ნიმუში მისი რეპეპოქაში	ცალი	2	5,60	11,20	
14	მსახიობის ოსტატობა	ცალი	2	7,00	14,00	
15	სასცენომეტყველების ფონეტიკური ხაფუძვლები	ცალი	2	4,00	8,00	
16	სათეატრო არქიტექტურა საქართველოში	ცალი	2	20,00	40,00	
17	თუშანიშვილის თეატრი	ცალი	2	6,50	13,00	
18	თეატრმცოდნეობა	ცალი	2	8,75	17,50	
19	მუსიკალური ცეკვის გაკვეთილები	ცალი	2	5,55	11,10	
20	ბრიტანული უხმო კინო	ცალი	1	5,00	5,00	
21	ნატო გაბუნია	ცალი	2	1,90	3,80	
22	საუკუნის ხმები	ცალი	2	12,50	25,00	
23	კულტურის სფეროს მენეჯმენტი	ცალი	2	3,55	7,10	
24	ევროპული დრამატურგია რუსთაველის თეატრში	ცალი	2	7,80	15,60	
25	ტოლსტონოგოვის სარეჟისორო გაკვეთილები	ცალი	2	3,05	6,10	
26	ხელოვნების ფსიქოლოგია მე-3გამოცემა	ცალი	2	2,70	5,40	
	ჯამი				327,80	

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი _____ გ. ბერიძე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ.წ. _____ ზ. აბულაძე

მიღება - ჩაბარების აქტი

ქ.ბათუმი, 2013 წლის 19 აპრილი

ერთის მხრივ სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გელა ბერიძის სახით და მეოროს მხრივ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ.შ. ზ. აბულაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"),

წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ
მხარეთა შორის 2013 წლის 10 აპრილს N51 ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა მიაწოდა, ხოლო შემსყიდველმა მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 327,80 (სამასოცდაშვიდი ლარი 80 თეთრი) ლარს.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
მის: ქ. ბათუმი, ალ. ახალციანის 37	მისამართი:
საიდენტიფიკაციო კოდი: 245628496	საიდენტიფიკაციო კოდი: 203851028
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი _____ გ. ბერიძე	ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ.შ. _____ ზ. აბულაძე